არქეოლოგიური სამუშაოების

KA990106073397922

22 / ივლისი / 2022 წ.

სანებართვო მოწმობა №ნ/12/33

1. ნებართვის მფლობელი
არქეოლოგი მიხეილ აბრამიშვილი, პ/ნ 01018002256, მისამართი - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №26.

2. სამართლებრივი საფუძველი
შპს „მნ+დეველოპმენტი“-ს მინდობილი პირის ნატო ალფაიძის 2022 წლის 17 ივნისის (სააგენტოში რეგისტრაციის № 2768, 17.06.2022 წ.) განცხადება; სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 19 ივლისის №05/34 ბრძანება.

3. სანებართვო ობიექტი
არქეოლოგიური ობიექტი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №52-ში მდებარე, შპს "მნ+დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ.მ).

4. შესასრულებული სამუშაო
ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის № 52-ში მდებარე, შპს "მნ+დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ.მ) მეორე ეტაპის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები.

5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა

6. ნებართვის მოქმედება
სანებართვო მოწმობის გაცემიდან 2022 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით, საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

7. ნებართვა გაცემულია
საქართველოს კანონის “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საფუძველზე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ აზნაურაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება №2/4

ქ. თბილისი

18 იანვარი 2017 წ.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამუშაოების ანგარიშის შედგენისა და წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე

არქეოლოგიური სამუშაოებისა და კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების თაობაზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით გათვალიწინებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სრულყოფილი შეფასებისა და განხორციელებული სამუშაოების თაობაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 03 თებერვლის №05/11 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ დებულების მე-5 მუხლის “ვ” პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამუშაოების შუალედური/საბოლოო ანგარიშის შედგენისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის წარმოდგენის წესი ამ ბრძანების დანართ №1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ნებართვებისა და ექსპერტიზის სამსახურსა და არქეოლოგიურ სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის მფლობელებისათვის გაცნობა.

3. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციას ამ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი.

4. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების შესაბამისი სამსახურებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალური დირექტორი ნ. ანთიძე

სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის
2017 წლის 15 მარტის №02/4 ბრძანების

დანართი №1

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამუშაოების შუალედური/საბოლოო ანგარიშის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის წარმოდგენის წესი

მუხლი 1. ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მფლობელი პირი ვალდებულია სანებართვო მოწმობით განსაზღვრულ ვადებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში პერიოდულად წარმოადგინოს სამუშაოთა შუალედური ანგარიში, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ – სამუშაოთა საბოლოო ანგარიში .

მუხლი 2. ანგარიშის წარმოდგენის ფორმა

1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს განცხადების სახით, სადაც მითითება: ძეგლის (ობიექტის) დასახელება, პროექტის დასახელება, შემსრულებელი, ნებართვის ნომერი და თარიღი, ინფორმაცია ანგარიშის ეტაპის თაობაზე (შუალედური ან საბოლოო).

2. განცხადებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების შესრულების თაობაზე თან უნდა ერთვოდეს:

ა) შუალედური/საბოლოო ანგარიშის მყარი ვერსია 2 ეგზემპლარად აკინძული ალბომის სახით;

ბ) სამუშაოთა ანგარიშის ელექტრონული ვერსია CD/DVD დისკზე.

მუხლი 3. კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების ანგარიშის შემადგენლობა

კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების ანგარიში უნდა მოიცავდეს:

1. თავფურცელს სადაც მითითებული უნდა იყოს ძეგლის (ობიექტის) დასახელება, პროექტის დასახელება, შემსრულებელი, ნებართვის ნომერი და თარიღი.
2. ჩატარებული სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების ჩვენება საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ დავალებასთან მიმართებაში (ტექსტური ნაწილით (ინფორმაციას სამუშაოთა მიმდინარეობისა და მათი შესრულების ხარისხზე) და ფოტომასალის (ობიექტის თავდაპირველი და სამუშაოების წარმოების ამსახველი სრულყოფილ ფოტოალბომი) საშუალებით;
3. საკითხებს სამუშაოთა მიმდინარეობის, მათი შესრულების ხარისხის, შექმნილი ან გამოვლენილი, საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი ვითარებებისა და გარემო ფაქტორების, სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ობიექტების შესახებ.
4. თუ უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა მასზე საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების შეცვლას ან დამონტაჟებას, სამუშაოთა საბოლოო ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ლიფტებისა და ესკალატორების, ხოლო სამრეწველო ობიექტების შემთხვევაში – დამონტაჟებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების გამოცდის აქტები, დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ;

ბ) გარე კომუნიკაციებზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიერთების დადასტურება, გაცემული შესაბამისი კომპანიის მიერ.

მუხლი 4. არქეოლოგიური სამუშაოების (გათხრების) სამუშაოების ანგარიშის შემადგენლობა

არქეოლოგიური სამუშაოების (გათხრების) ანგარიში უნდა მოიცავდეს:

1. თავფურცელს სადაც მითითებული უნდა იყოს ძეგლის (ობიექტის) დასახელება, პროექტის დასახელება, შემსრულებელი, ნებართვის ნომერი და თარიღი.

2. ობიექტზე ჩატარებული საარქივო და საველე სამუშაოთა სრული, დოკუმენტური ანგარიში. ანგარიშის ტექსტურ ნაწილს უნდა ახლდეს:

ა) საპროექტო ობიექტის ტოპოგრაფიული გეგმა.

ბ) საპროექტო ობიექტზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი უძრავი და მოძრავი ობიექტების საველე გრაფიკული მასალა, გეგმები შესაბამისი მასშტაბით- 1:500; 1:1000; 1;2000.

გ) ჭრილები შესაბამისი ნიშნულებითა და ექსპლიკაციით.

დ) გამოვლენილი მოძრავი ობიექტების პირველადი აღმოჩენის ადგილების გრაფიკული ფიქსაცია შესაბამის გეგმებსა და ჭრილებზე.

ე) გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და ობიექტების რაობის განსაზღვრა და დათარიღება, მათი ფოტო (მაღალი რეზოლუციით) და გრაფიკულ ფიქსაცია;

ვ) კვლევის შედეგად მიღებული მასალის აღმოჩენილი ობიექტების (მოძრავი და უძრავი) ანალიტიკური დამუშავება და დასკვნების ჩამოყალიბება, სათანადო ილუსტრაციებით;

3. ინფორმაციას გამოვლენილი მოძრავი ობიექტების საცავში განთავსების შესახებ (საცავის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და სანებართვო მოწმობის მფლობელის ხელმოწერით).

4. ფოტო მასალას გამოვლენილი უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით, ტერიტორიის რეკულტივაციისა და ობიექტების კონსერვაციის შესახებ.

5. ინფორმაცია ექსპედიციის შემადგენლობის შესახებ(მონაწილე პირების სახელი, გვარი, კვალიფიკაცია). ესპედიციში სტუდენტების მინაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს წერილი შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

მუხლი 5. დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების (გათხრების) სამუშაოების ანგარიშის შემადგენლობა

დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების (გათხრების) ანგარიში უნდა მოიცავდეს:

1. თავფურცელს სადაც მითითებული უნდა იყოს ძეგლის (ობიექტის) დასახელება, პროექტის დასახელება, შემსრულებელი, ნებართვის ნომერი და თარიღი.

2. ობიექტის თაობაზე ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევას შესაბამისი წყაროების მითითებით;

3. ობიექტის თაობაზე ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალების (სამუზეუმო და საარქივო დაწესებულებებში დაცული: ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები) ანალიზს;

4. კოსმოსური და აეროფოტომასალების დეშიფრირებას, არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას და მის ანალიზს საარქივო მონაცემებთან მიმართებაში;

5. დაზვერვითი შურფების განლაგების სქემას და გამოხაზული ნახაზებს (მასშტაბი 1:25, 1:20), სტრატიგრაფიის ჩვენებით.

6. დაზვერვის შედეგად მიღებული მასალის აღმოჩენილი ობიექტების (მოძრავი და უძრავი) თაობაზე სათანადო ინფორმაციას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990135798307722

№12/1524

22 / ივლისი / 2022 წ.

შპს „მნ+დეველოპმენტი“-ს მინდობილ პირს
ქალბატონ ნატო ალფაიძეს
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მკ/რ, I კვარტ. II
კორპ. ბინა 13. ტელ: 558 58 89 89 (საკონტაქტო
პირი ელენე იმედაშვილი)
ელ-ფოსტა: elene_imedashvili@art.edu.ge
eleneimedashvili0@gmail.com

ასლი: არქეოლოგ მიხეილ აბრამიშვილს
პ/ნ 01018002256
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №26

ქალბატონო ნატო,

თქვენი შპს „მნ+დეველოპმენტი“-ს მინდობილი პირის ნატო ალფაიძის 2022 წლის 17 ივნისის (სააგენტოში რეგისტრაციის № 2768, 17.06.2022 წ.) განცხადების საფუძველზე სააგენტომ განიხილა და გასცა არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის № 52-ში მდებარე, შპს "მნ+დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ.მ) მეორე ეტაპის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოებზე.

განგიმარტავთ, რომ ნებართვის მოქმედების ვადის დამატებით გაგრძელების აუცილებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა, ნებართვის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, სააგენტოს უნდა მომართოს განცხადებით, სადაც დაფიქსირებული იქნება თუ რა ობიექტური გარემოებით იქნა გამოწვეული და კონკრეტულად რა ვადით გახდა საჭირო ნებართვის გახანგრძლივება. ამასთან, არქეოლოგიურ ობიექტზე/ძეგლზე სამუშაოების წარმოების ნებართვის მოქმედების ვადის ამოწურვამდე სააგენტოსთან უნდა შეთანხმდეს არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ყველა ცვლილება. აქვე გაცნობებთ, რომ სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიმართ გატარებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დანართის სახით გიგზავნით სანებართვო მოწმობას, საპროექტო დოკუმენტაციას და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამუშაოების ანგარიშის შედგენისა და წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის №2/4 ბრძანების ასლს.

დანართი: 16 (თექვსმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ლევან ხიზანიშვილი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის № 52-ში მდებარე,
შპს „მნ+დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე
(ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ. მ.)
ჩატარებული მეორე ეტაპის არქეოლოგიური კვლევა-ძიების საბოლოო

ა ნ გ ა რ ი შ ი



სანებართვო მოწმობა - №ნ/12/33

ნებართვის მფლობელი -

არქეოლოგი მიხეილ აბრამიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის

ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი

04/08/2022წ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს [1]გენერალური დირექტორის, ბატონ ნიკოლოზ აზნაურაშვილის მიერ, მიმდინარე წლის 19 ივლისის ბრძანების (№05/34) თანახმად, ჩემს სახელზე გაცემული ნებართვის (№6/12/33) საფუძველზე, ჩავატარე მეორე ეტაპის არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N52-ში არსებულ შპს „მნ+დეველოპმენტ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ.მ).

საპროექტო მიწის ნაკვეთი მოქცეულია თრელიგორების არქეოლოგიური უბნის ფარგლებში (იხ. სურ. 1, 3) და მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უშუალოდ ემიჯნება ტერიტორიას, სადაც, მე-20-ე საუკუნის 80/90-იან წლებში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჩალიპირაგორების გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის და ადრერკინის ხანის ნასახლარის ობიექტები იქნა გათხრილი და შესწავლილი (იხ. სურ. 4-6).

საპროექტო ტერიტორიაზე არსებობდა საბჭოთა პერიოდში აშენებული ავტომანქანების პროფილაქტიკა, რომლის დემონტაჟი 2018 წელს მოხდა. პროფილაქტიკის მშენებლობის დროს, ტერიტორიის მოსწორების მიზნით, ჩალიპირაგორების აღმოსავლეთი ფერდობი, საპროექტო ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში, სამხრეთ-ჩრდილოეთ ხაზზე ჩამოუჭრიათ, რის გამოც იქ არსებული არქეოლოგიური ობიექტები, დიდი ალბათობით, განადგურდებოდა. თუმცა, ვინაიდან არქეოლოგიური ობიექტების არსებობის სრული გამორიცხვა არ შეიძლებოდა, გადაწყდა თხრილების გაკეთება საშუალო ზომის ტრაქტორის გამოყენებით. გაკეთდა 18 თხრილი და არც ერთ მათგანში არქეოლოგიური ნაშთების არსებობა არ დადასტურებულა (სურ. 9-27).

თხრილების გაკეთება დავიწყეთ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება იმ მიწის ნაკვეთს, სადაც ადრე ჩალიპირაგორების არქეოლოგიური ობიექტები იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი.

N 1 თხრილი გაკეთდა ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. მისი ზედა დონე მოფენილი იყო გრანიტის ფილებით, რომლის ქვეშ, 2 მ-ის სიღრმეზე, გამოვლინდა ერთგვაროვანი, მოყავისფრო თიხნარი, რაც დამახასიათებელია ჩალიპირაგორებისა და მთლიანად თრელიგორების არაკლდოვანი დედაქანისთვის (სურ. 10).

N 2 თხრილი გაკეთდა N 1 თხრილიდან სამხეთით, 6 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. მის ზემოთ იყო წვრილ ხრეშზე დაგებული ასფალტის თხელი ფენა, რომლის ქვეშ გრძელდებოდა მოყავისფრო თიხამიწის დედაქანი (სურ. 11).

N 3 თხრილი გაკეთდა N 2 თხრილიდან 10 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით, მისგან სამხრეთით. ნიადაგის თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ აღმოჩნდა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები - აგურები და ჩრდილოეთ კედლის ბეტონის საძირკვლის ფრაგმენტი (სურ. 12).

[1] რ. აბრამიშვილი, მ. აბრამიშვილი, თ. ვაშაკიძე და სხვ., „არქეოლოგიური გათხრები თბილისში“, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1986 წელს, თბილისი, „მეცნიერება“, 1991, გვ.45-50, ტაბ. 90-130, (რუსულ ენაზე).
Abramischwili R. und M. “Archäologishe Denkmaler in Stadtgebiet fon Tbilissi”, Unterwegs zum Goldenen Vlies - Archäologische Funde aus Georgien, Herausgegeben von Andrei Miron und Winfried Orthmann, Saarbrucken; 1995, pp.188-205

N 4 თხრილი გაკეთდა N3 თხრილიდან 7 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით, მისგან სამხრეთით. ნიადაგის თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ აღმოჩნდა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები - კაფელით მოპირკეთებული კედლის ფრაგმენტი, მის ქვეშ კი, ისეთივე დედაქანი, როგორიც იყო N 1 და N 2 თხრილებში (სურ. 13).

N 5 თხრილი გაკეთდა N 4 თხრილიდან სამხრეთით 25 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. მის ზედა ფენაზე, ისევე როგორც N 1 თხრილის შემთხვევაში, დაგებული იყო ბაზალტის ფილები, რომლის ქვეშ იყო, 30-40 სმ-ის სისქის მიწისა და ხრეშის ნარევი ფენა და ბეტონის საძირკვლის ნაშთები, ხოლო, დაახლოებით, 0,5 მ-ის სიღრმიდან იწყებოდა მოყავისფრო დედაქანი (სურ. 14).

N 6 თხრილი გაკეთდა მიწის ნაკვეთის უკიდურესი სამხრეთ დასავლეთის საზღვრიდან ჩრდილოეთით, 10-12 მ-ის დაშორებით, სადაც ასევე აღმოჩნდა ბეტონის საძირკვლის ნაშთები (სურ. 15).

ბეტონის საძირკვლის ნაშთები აღმოჩნდა ასევე N 7 თხრილშიც, რომელიც გაკეთდა ნაკვეთის სამხრეთ-ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, N 6 თხრილიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, 15-20 მ-ის დაშორებით (სურ. 16).

N 8 თხრილი გაკეთდა N 7-დან აღმოსავლეთით, დაახლოებით, 10 მ-ის დაშორებით, დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით. თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, თხრილში აღმოჩნდა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ნაგებობის ბეტონის საძირკვლის კითხისა და აგურის კედლის ფრაგმენტები, რომლის ქვეშ, დაახლოებით 2 მ-ის სიღრმიდან, იწყებოდა მოყავისფრო თიხამიწის დედაქანი (სურ. 17).

N 9 თხრილი გაკეთდა N 8-დან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 15 მ-ის მანძილზე, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. აღმოჩნდა აგურით ნაგები და კაფელით მოპირკეთებული შენობის ნაშთები (სურ. 18).

N 10 თხრილი გაკეთდა N 9-დან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 15 მ-ის მანძილზე, დასავლეტ-აღმოსავლეთის მიმართულებით. სამშენებლო ნარჩენებისა და წვრილი ხრეშის ფენის ქვეშ, დაახლოებით 1.5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა აგურის ნაშტემი, ხოლო მის ქვემოთ იწყებოდა მოყავისფრო დედაქანი (სურ. 19).

N 11 თხრილი გაკეთდა N 10-დან ჩრდილოეთით, დაახლოებით 10 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, სადაც თხელი ჰუმუსოვანი ფენის და დაახლოებით 0.5 მ-ის სისქის მიწანარევი ხრეშის ქვეშ იწყებოდა მოყავისფრო დედაქანი (სურ. 20).

N 12 თხრილი გაკეთდა N 11-დან აღმოსავლეთით, დაახლოებით 8-10 მ-ის მანძილზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, დაახლოებით 1.5-1.7 მ-ის სიღრმემდე თხრილი სავსე იყო დანგრეული შენობის ნაშთებით - ბაზალტის ფილები, წყალგაყვანილობის ძველი მილები და ბეტონის ნარჩენები (სურ. 21).

N 13 თხრილი გაკეთდა N 12-დამ ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 7-8 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. დაახლოებით 1,5 მ-ის სიღრმეზე იყო ბეტონის ფილა, რომლის ამოღება ვერ მოხერხდა საშუალო ზომის ტრაქტორით (სურ. 22).

N 14 თხრილი გაკეთდა N 13-დან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 8-9 მ-ის დაშორებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, თითქმის 2 მ-ის სიღრმემდე, ჩაყრილი იყო საშუალო და მსხვილი რიყის ქვები სხვა სამშენებლო ნარჩენებთან ერთად (სურ. 23).

N 15 თხრილი გაკეთდა N 14-დამ ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 10-12 მ-ის დაშორებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, თხრილში აღმოჩნდა აგურითა და ბეტონით ნაგები შენობის ნაშთები (სურ. 24).

N 16 თხრილი გაკეთდა N 15-დან ჩდილო-დასავლეთით, დაახლოებით 15-17 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. ასფალტის თხელი ფენისა და მის ქვეშ არსებული ხრეშის ქვეშ, დაახლოებით 30 სმ-ის სიღრმიდან იწყებოდა, ამ ადგილისთვის დამახასიათებელი, მოყავისფრო თიხამიწის დედაქანი (სურ. 25).

N 17 თხრილი გაკეთდა N 16-დან ჩრდილოეთით, დაახლოებით 25-27 მ-ის დაშორებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხელი ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, თხრილში აღმოჩნდა ბაზალტის ფილები, ბეტონის საკანალიზაციო მილი და სამშენებლო ნარჩენები (სურ. 26).

N 18 თხრილი გაკეთდა N 17-დან აღმოსავლეთით, დაახლოებით 20-22 მ-ის დაშორებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხრილში აღმოჩნდა, დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლის ბეტონის საძირკვლის ნაშთები, ხოლო მის ქვემოთ იწყებოდა დედაქანი.


ჩვენს მიერ გაჭრილ არცერთ თხრილში არქეოლოგიური ობიექტები არ იქნა აღმოჩენილი. სამუშაოს დასრულების შემდეგ, თხრილები შეივსო ამოყრილი მიწითა და სამშენებლო ნარჩენებით.

დასკვნა


ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის № 52-ში მდებარე, შპს „მნ+დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.071, ფართობი 6063 კვ. მ.) ჩატარებული მეორე ეტაპის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად არქეოლოგიური ობიექტები არ გამოვლენილა, რის გამოც შესაძლებლად მიმაჩნია გაიცეს შესაბამისი ნებართვა ამ საპროექტო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთან, ვინაიდან სამშენებლო, თუ სხვა სახის მიწის სამუშაოების პროცესში, არქეოლოგიურ ობიექტთა გამოვლენის ალბათობა მაინც არსებობს, გთხოვთ მიწის ნაკვეთის მეპატრონე დაავალდებულოთ, რომ არქეოლოგიური ობიექტ(ებ)ის აღმოჩენის შემთხვევაში, შეაჩერონ სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ აცნობონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

არქეოლოგი მიხეილ აბრამიშვილი




საქართველოს ეროვნული მუზეუმის
არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი



1. საპროექტო ტერიტორიის საერთო ხედი თრელიგორების არქეოლოგიური ობნის საერთო ხედის საზღვრებში (ორთოფოტო http://maps.tbilisi.gov.ge)



2. საპროექტო ტერიტორია 3D ტოპოგეგმაზე



3. საპროექტო ტერიტორია იზოგიფსურ ტოპოგეგმაზე



4. საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო



5. საპროექტო ტერიტორიისა (-) და ჩალიპირაგორების გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნისა და ადრერკინის ხანის ნასახლარის დადასტურებული არქეოლოგიური ობიექტების გავრცელების საზღვრები (-) 1996 წლის ორთოფოტოზე




6. ჩალიპირაგორების არქეოლოგიური ობიექტების ტოპოგეგმა



7. საპროექტო ტერიტორიის ფოტო, ხედი ჩრდილოეთიდან



8. საპროექტო ტერიტორიის პანორამული ხედი ჩრდილოეთიდან



9. თხრილების განლაგების სქემა საკადასტრო გეგმაზე



10. თხრილი 1, ხედი სამხრეთიდან



11. თხრილი N 2, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



12. თხრილი N 3, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



13. თხრილი N 4, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



14. თხრილი N 5, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



15. თხრილი N 6, ხედი ჩრდილოეთიდან



16. თხრილი N 7, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



17. თხრილი N 8, ხედი დასავლეთიდან



18. თხრილი N 9, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



19. თხრილი N 10, ხედი დასავლეთიდან



20. თხრილი N 11, ხედი სამხრეთიდან



21. თხრილი N 12, ხედი დასავლეთიდან



22. თხრილი N 13, ხედი აღმოსავლეთიდან



23. თხრილი N 14, ხედი დასავლეთიდან



24. თხრილი N 15, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



25. თხრილი N 16, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



26. თხრილი N 17, ხედი სამხრეთიდან



27. თხრილი N 18, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან